

მარტინ ჰაიდეგერი და ჟაკ ლაკანი: ენა, რომელიც *მეტყველებს*

ქეთევან გვაზავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე, ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან გვაზავა

29.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მარტინ ჰაიდეგერთან და ჟაკ ლაკანთან ერთად გაივლის *გზაზე ენისაკენ*.

ჰაიდეგერიცა და ლაკანიც მეტაფიზიკურ ტრადიციაში არსებული ენის, როგორც რეპრეზენტაციის, თუ ნიშანთა სისტემის გაგებისაგან განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობენ და თავიანთ მსჯელობებში მეტად ემთხვევიან ერთმანეთს, თუმცა მნიშვნელოვან განსხვავებებსაც ავლენენ ერთმანეთთან მიმართებით.

ნაშრომის მიზანია ჰაიდეგერისა და ლაკანის ენაზე რეფლექსიების გარკვეული მნიშვნელოვანი ასპექტები განიხილოს; იგი არ აცხადებს პრეტენზიას სრულად წარადგინოს დასახელებულ მოაზროვნეთა თეორიები ენის შესახებ, არამედ — მათი კონკრეტული, ძირითადი თუ პრინციპული მახასიათებლები;

კერძოდ, ნაშრომის პირველ ნაწილში, რომელიც ჰაიდეგერის ტექსტთა *წაკითხვას* დაეთმობა, მიმოვიხილავთ ენას, როგორც საგანთა არსის მატარებელს, მათ წარმდგენსა და არსებულთა გამოჩენის ერთადერთ შესაძლებლობას. ჰაიდეგერთან მხოლოდ ენის სიტყვისმიერ [საგანთა] დაუსწრებლობაში მოვიხელთებთ საგნის ნამდვილ თანდასწრებულობას. *ენა მეტყველებს*; ის მეტყველებს არსებულთ.

ლაკანის შემთხვევაში კი, ნაშრომის მეორე ძირითად ნაწილში, ყურადღებას გავამახვილებთ ლაკანიანური ენის (ისევე როგორც აზროვნების, დეკარტესეულ) სუბიექტზე, ფუნდამენტურად გაყოფილზე, რომელიც ადრეულ ეტაპზევე წარმოსახვით ურთიერთობებს აყალიბებს მის გარშემო არსებულ სივრცესთან (სუბიექტებთან და ობიექტებთან) და მისი *ჭეშმარიტება* ენაში და ენის მიერ მხოლოდ და მხოლოდ სიცარიელედ გაიხმიანებს, რასაც ლაკანი გამოხატავს ცნებით — „სავსე მეტყველება“ [parole pleine]; ამასთან, მიმოვიხილავთ ლაკანთან აღმნიშვნელის, მამასადამე ძირითადი ლინგვისტური ერთეულის დამოუკიდებელ როლს, რომელიც საგანს ენის სისტემაში

შელწევითანავე ჰყოფს, მის არასათანადობას ამხელს და აღნიშვნის პროცესს დაუსრულებლად წარმოაჩენს.

საძიებო სიტყვები: ჰაიდეგერი, ლაკანი, ენა, მეტყველება, საგანი, აღნიშნული, აღმნიშვნელი, „სავსე მეტყველება“, გზა, მეტაფიზიკური ტრადიცია, რეპრეზენტაცია, ნიშანთა სისტემა, სუბიექტი და ობიექტი, წარმოსახვითი.

Abstract

With Martin Heidegger and Jacques Lacan, this paper will pass *on the way to the language*.

If in the metaphysical tradition, language is considered a representation and a system of signs, both Heidegger and Lacan propose different approaches to the language, and in their discourses, they coincide with each other; Yet they also show some significant differences in relation to each other.

The goal of the paper is to examine some noteworthy aspects of Heidegger's and Lacan's reflections on the language; It doesn't have a claim to present previously named thinkers' whole theories on language, but — their concrete, main and principal characters.

Namely, in the first part of the paper, which will be the reading of Heidegger's texts, we will discuss language as a bearer of an essence of things, as their presenter, and the only possibility for them to appear. In Heidegger, only in the word of language, characterized by the absence [of the things], will we grasp the real presence of the things; *Language speaks*; It speaks the things.

With Lacan, in the second part of the paper, we will focus on the subject of language (subject of thinking, the Cartesian subject), — fundamentally split, — which at an early-stage forms imaginary relations to the environment (to the subjects and objects) that surrounds him/her; and his/her truth in language and by language will make itself heard only as silence; latter will be expressed in a concept of the "full speech" [parole pleine] by Lacan; We will discuss in Lacan a

signifier. In other words, the independent role of the main linguistic unit which divides the thing at the exact moment of it entering the system of language, unfolds its improper character and manifests the interminable process of signification.

Keywords: Heidegger, Lacan, language, speech, object, signified, signifier, “full speech”, way, metaphysical tradition, representation, system of signs, subject and object, imaginary.